



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი
2	პრატიკა დასახელება	საწარმოო პრაქტიკა
3	პრაქტიკის ხანგრძლივობა	1კრედიტი 25 საათი. სასწავლო კურსი 25 კრედიტი 625 სთ. აქედან პრაქტიკული მუშაობა 582 სთ, გამოცდა 43 სთ: სულ 20 სასწავლო კვირა
4	პრაქტიკის შინაარსი	პრაქტიკული კურსი მოიცავს პროფესიული სტუდენტისათვის დაავადებათა სპეციფიკისა და მიმდინარეობის გათვალისწინებით მოვლის შესწავლას უშუალოდ პაციენტის საწოლთან ამბულატორიის, სტაციონარის და სხვა პირობებში; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველსაყოფად პროფესიული სტუდენტი მონაწილეობას იღებს სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან ერთად მთელ სამუშაო პროცესში - მიმღები განყოფილებიდან პაციენტის სპეციფიურ მომსახურებამდე სხვადასხვა განყოფილებაში, პაციენტის კლინიკიდან გაწერამდე; შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა - გააზრება და საჭირო ინფორმაციის დროული და ადექვატური გამოყენება; პაციენტისათვის ჯანმრთელობის დაცვის სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღება; კონკრეტული მანიპულაციების დროს პროფესიული დასწრება - პროცესში ჩართვა; პაციენტთან ქცევის ეთიკური ნორმების დემონსტრირება - სწავლება და ზოგადად ავადმყოფ ადამიანთან სწორი მიმართების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ბინაზე მოვლის პირობების ეფექტიანი გამოყენება, კრიტიკულ სიტუაციაში ადექვატური და პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილი ქცევის გამოსამუშავებლად.
5	მიზანი	პრაქტიკული კურსის მიზანია პროფესიულ სტუდენტს შესწავლოს ინფექციის კერაში მუშაობისათვის საკუთარი თავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, გაითვალისწინოს მოვლის პროცესში პაციენტის ასაკი, დაავადების მიმდინარეობა და სპეციფიკა, ასევე საკუთარი სამუშაოს გეგმის შესრულება; სამედიცინო გუნდთან კარგი თანამშრომლობა; შეძლოს პაციენტებთან, მათ ახლობლებთან და კოლეგებთან ეთიკური ნორმების დაცვის სრულფასოვანი კომუნიკაცია. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შეძლოს აუცილებელი ინფორმაციის მოძიება და გამოყენება. მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული მუშაობისას ოპტიმალური გამოყენების უნარის ჩამოყალიბება.
6	შესწავლის წინაპირობები	ავადმყოფის მოვლა, ზოგადი და კერძო დაავადებები, სასწავლო პრაქტიკა
7	სასწავლო საკმიანობა და სწავლის მეთოდები	საუბარი, უშუალოდ პაციენტის საწოლთან ქმედება, ცალკეული შემთხვევის განხილვა/ შეფასება. ჯგუფური მუშაობა, „თერაპიის სახლის“ წარმომადგენლის მითითებების საფუძველზე მუშაობა, ადგილზე დავალებების მიცემა-შესრულება; ორგანიზაციაში პერსონალის სამუშაოზე დაკვირვება-შესწავლა; შემთხვევა-მაგალითების განხილვა; დისკუსია; ჩვენება (დემონსტრირება); სტაციონარის ოთახში, საწოლებთან მცირე, 3-კაციან ჯგუფებში



დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 1-09/14 29.05.2014

ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

		ვარჯიში (თითოეული სტუდენტი ვარჯიშობს ავადმყოფის, მომვლელის, დამკვირვებლის ამპლუაში);
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. აქედან 14 ჯერ 0-3 ქულა სულ 0- 42, შუალედური გამოცდა 0 - 18 ქულა
9	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა	ძირითადი სასწავლო მასალა: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ავადმყოფზე დაკვირვება, სახელმძღვანელო მედდებისთვის, ლ. შონშტაინი</li> <li>➢ შიდა გაიდლაინები</li> <li>➢ შინაგანაწესები</li> <li>➢ შესაბამისად აღჭურვილი სტაციონარი, ამბულატორია</li> <li>➢ გამართული შინმშობის სამსახური თავისი ბიუროთი და მომუშავე პერსონალით</li> </ul>
10	სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს: (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; ღირებულებები). პროფესიულ სტუდენტს შეუძლია: სანიტარული და ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით მუშაობა. სტაციონარში და ბინის პირობებში პაციენტის მოვლა ასეპტიკისა და ანტისეპტიკის გათვალისწინებით, მოვლითი ღონისძიებების ჩატარება პაციენტის ასაკისა და დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე. მონაწილეობის მიღება პაციენტისათვის სწავლების პროცესში. საჭირო ინფორმაციის მოძიება და გამოყენება. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწორად გამოტანა. კომპეტენციის ფარგლებში დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღება. კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან მოსმენილის გაზრება, საჭიროებისას დაზუსტება. პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილობის უნარი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.
11	მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია	პრაქტიკების ხელმძღვანელები- მერი ვაშაკიძე ტელ: 995 593 63 2285 ქეთევან გარსევანიშვილი - ტელ: 5 77 11 91 99 იოსებ აბესაძე - ტელ: 5 99 90 03 19 ირინა მირზაშვილი - ტელ: 5 97 79 31 31

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით			
სასწავლო პერიოდი (დღე)	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი
1 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა სტაციონარში/შეფასება	კლინიკის თავისებურებების, შინაგანაწესის გაცნობა. მძიმე	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუღებელი კარდიოლოგიის ცენტრი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

	30 საათი	ავადმყოფის მოვლის თავისებურებების გაცნობა. სხვადასხვა სირთულის პაციენტის მოვლის დაგეგმვა შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამედიცინო გუნდის წევრების როლების გათვალისწინებით. დოკუმენტაციის გაცნობა პაციენტის გარემო. ფუნქციური საწოლის მუშაობის პრინციპები; საწოლის სიმაღლე, საწოლთან დგომის მანერა. ამ ყველაფრის პრაქტიკული სამუშაო პროცესში პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკულად შესრულება.	კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“
2 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა / ბინაზე მოვლა/ 30 საათი, <b>5 საათი შუალედური გამოცდა</b>	ბინაზე პაციენტის მოვლის თავისებურებები; დეტალური დაკვირვება ავადმყოფზე ხელოვნების ელემენტების საშუალებით დაკვირვების უნარების განვითარების სავარჯიშოები; თერაპიის სახლის შინ მოვლის სამსახური პროფესიულ სტუდენტებს გადაანაწილებს ბინის პაციენტებთან, სადაც გაკვებათ მასწავლებელი და ადგილზე პრაქტიკულ დავალებებს შეასრულებენ. კინესთეტიკის საფუძვლების გამოყენება მოვლის პროცესში. მომვლელის სწორი პოზიცია საწოლთან საკუთარი ზურგის დასაცავად. ვარჯიში მძიმე პაციენტის საწოლში გადაადგილება. საწოლიდან სკამზე ან სავარძელზე გადაჯდომა და პირიქით. საწოლიდან წამოყენების ტექნიკა, სიარულში; ამ ყველაფრის პრაქტიკული შესრულება.	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი  კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“
3 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 30 სთ,	გარემოს მოწყობა, დახმარება სხეულის მოვლაში. დაბანა, ჩაცმა, ლოგინის მოწყობა; ავადმყოფის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან (ნაწოლების, პნევმონიის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებები) პროფილაქტიკური მოვლითი ღონისძიებები წოლითი მდგომარეობების	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი;  კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

		შერჩევა. პრაქტიკული შესრულება.	
4 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა, 30 საათი./ <b>5 საათი შუალედური გამოცდა</b>	კვება, დახმარება საკვების მიწოდებაში, სწორი პოზიციები მძიმე პაციენტის კვებისას, დახმარება ყლაპვის გაძნელების დროს. პირის ღრუს ჰიგიენა; კვებაში დახმარება დარღვევების დროს. პაციენტის სწორ პოზიციებში მოთავსება. საკვების შერჩევა. გამოყოფაში დახმარება. ოყნის გაკეთების ტექნიკა, პამპერსის გამოცვლა, ჰიგიენური ღონისძიებები.	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი;  „თერაპიის სახლი“ სტაციონარი
5 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა სტაციონარში/შეფასება, 30 სთ,	ექსკრეცია დახმარება გამოყოფის შეუკავებლობის დროს, შესაბამისი ჰიგიენის დაცვა; პაციენტის ჰიგიენა. მძიმე ავადმყოფის მთლიანი და ნაწილობრივი დაბანა საწოლში. თეთრეულის გამოცვლა.	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი  „თერაპიის სახლი“ სტაციონარი
6 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა/ 35 სთ <b>5 საათი შუალედური გამოცდა</b>	პაციენტის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან, პროფილაქტიკური ღონისძიებები ნაწოლის, კონტრაქტურის თავიდან ასაცილებლად; გარეგანი ზემოქმედებები: სახვევებისა და საფენების გაკეთების ტექნიკის შესწავლა, სამკურნალო აბაზანის მომზადება, სხვადასხვა ზეთებისა და მალამოების შეზღვევა ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის მისაღწევად	აკად. გ ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი
7 კვირა	პრაქტიკა- პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 35 სთ,	პაციენტის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან, პროფილაქტიკური ღონისძიებები პნევმონიის, თრომბოზის თავიდან ასაცილებლად; სამედიცინო მანიპულაციები: ინექცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაციაში, ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმასა და მოვლაში დახმარება.	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
8 კვირა	პრაქტიკა- პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 35 საათი,	პაციენტის უსაფრთხოების დაცვა. დაცემის პროფილაქტიკა; სასიცოცხლო მაჩვენებლებზე დაკვირვება; პულსის დათვლა, წნევის გაზომვის ტექნიკა,	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

		სუნთქვასა და ცნობიერ მდგომარეობაზე დაკვირვება	
9 კვირა	პრაქტიკა - ამბულატორიაში/შეფასება 35 სთ  <b>5 საათი შუალედური გამოცდა</b>	პაციენტის მოძრაობა; სწორი პოზიცია საწოლთან მუშაობის დროს, რათა ექთანმა დაიცვას ზურგი დაზიანებისაგან; მწოლიარე მძიმე ავადმყოფის გადაადგილება საწოლში; ავადმყოფის საწოლში წამოჯდომა, საწოლიდან სკამზე გადაჯდომა და პირიქით; მეან-გინეკოლოგიური მოვლა: ჰიგიენური მოვლა მელოგინის სპეციფიკის გათვალისწინებით, დახმარება მარტივი გინეკოლოგიური მანიპულაციების დროს. პედიატრიული მოვლა: ტანსაცმელი- შეხვევა, სხეულის მოვლა, კვება, კვების რიტმის დაცვა, კვების ტექნიკა ყოველდღიური მოვლის მეშვეობით დახმარება მოძრაობის განვითარებაში	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
10 კვირა	პრაქტიკა - ამბულატორიაში/შეფასება 35 სთ	პაციენტის მოძრაობა ავადმყოფის საწოლში წამოჯდომა, საწოლიდან სკამზე გადაჯდომა და პირიქით; ქირურგიული მოვლა; პაციენტის ოპეაციისათვის მომზადებაში დახმარება. ჭრილობის მოვლის სპეციფიკა. სტომის, ნაწოლის, წყლულის მოვლა.	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
11 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება/შეფასება სება, 35 სთ, <b>5 საათი შუალედური გამოცდა</b>	პაციენტის მოძრაობა ავადმყოფის საწოლიდან წამოყენება, დახმარება სიარულში; სარეაბილიტაციო მოვლა სხვადასხვა ტიპის დამბლების და ფრაქტურის დროს. ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში, წოლითი მდგომარეობების შერჩევა, დახმარება გადაადგილებაში	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
12 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 35სთ,	დამხმარე საშუალებების - ინვენტარის გაცნობა - გამოყენება. გერიატრიული მოვლა; ხანდაზმულის მოვლის თავისებურებები.	„ონკოპრევენციის ცენტრი“



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

13 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 35 სთ,	უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მედიკამენტების მიღების კონტროლი. პალიატიური მოვლა; მძიმე პაციენტის მოვლა დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.	„ონკოპრევენციის ცენტრი“
14 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 30 სთ,	სახვევების, საფენებისა და სამკურნალო აბაზანების, სწორად გაკეთების ტექნიკა სამკურნალო ზეთებისა და მალამოების შეზღვევა;	„თერაპიის სახლის ამბულატორია“
15 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 30 სთ,	ენდოკრინული დაავადებებისას მოვლა. დიაბეტის პაციენტის მოვლა: წამლის მიღების რეჟიმის კონტროლი, ჰიგიენური ლონისძიებების თავისებურება, პაციენტის ინფორმირება შესაძლო გართულებების შესახებ	„თერაპიის სახლის ამბულატორია“
16 კვირა	პრაქტიკა ჰოსპისში - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება, 30 სთ,	მოვლის სხვადასხვა მოდელების განხილვა. მოვლის დაგეგმვა	„თერაპიის სახლის ამბულატორია“
17 კვირა	პრაქტიკა შინმოვლის სამსახურში//შეფასება 22 საათი	პაციენტის ხელშეწყობა ყოველდღიურ აქტიურობებში სახლის პირობებში.	კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“
18 კვირა	პრაქტიკა შინმოვლის სამსახურში//შეფასება 25 საათი	პაციენტისა და მისი გარემოცვის რესურსებისა და უნარების გამოვლენა.	კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“
19 კვირა	პრაქტიკა შინმოვლის სამსახურში//შეფასება 15 საათი  ანგარიშის წარდგენა,  პრეზენტაცია 5სთ	პაციენტის ფსიქო-სოციალური დახმარება სახლის პირობებში.	კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“
20 კვირა	დასკვნითი წერითი გამოცდა 5 საათი, დასკვნითი ზეპირი გამოცდა 8 საათი		



დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 1-09/14 29.05.2014

ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

ხელმოწერა: